

ახალი სარაგაული

363 (22) 12 ოქტომბერი, 2017 წ

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ვინ არიან ხარაგაულის მერობის კანდიდატები და როგორია მათი საარჩევნო პროგრამა

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები საკუთარ მერებსა და საკრებულოებს აირჩევენ. პოლიტიკურმა პარტიებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში კანდიდატები უკვე დაარეგისტრირეს. მერების არჩევნების პირველსავე ტურში მოსაგებად ხმათა 50%-ზე მეტის მიღება საჭირო. თუ ვერცერთი კანდიდატი 50%-ზე მეტს ვერ მიიღებს, მაშინ გამარჯვებული მეორე ტურში იმ ორ კანდიდატს შორის გამოვლინდება, რომლებმაც პირველ ტურში საუკეთესო შედეგები აჩვენეს. ხარაგაულის მოსახლეობას არჩევანის გაკეთება ექვს კანდიდატს შორის მოუწევს.



„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატი **ნიკოლოზ თოფოსკია** ხარაგაულის გამგებლად 2016 წლის ოქტომბერში აირჩა. ნიკოლოზ თოფოსკი 1967 წლის 16 მაისს მარნეულში დაიბადა; 1984 წელს დაამთავრა თბილისის 102 – ე საჯარო სკოლა; 1986 – 1990 წწ. სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში; 1990 წელს სწავლა განაგრძო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში, Lado international institute – ში; 1991-1993 წწ. გახლდათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი; 1997 – 1999 წწ. განათლება მიიღო George Mason university - ში საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. 2002-2003 წწ. სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამმართველოს საგარეო განყოფილების უფროსი; 2004-2005 წწ. ხარაგაულის სატყეო მეურნეობის დირექტორი; 2005-2009 წწ. „ცენტრ პოინტის“ პროექტის მენეჯერი; 2010-2011 წწ. „ბლეკ სი გრუპის“ პროექტის მენეჯერი; 2012-2016 წწ. საქართველოს ელექტროსისტემის გენერალური დირექტორის კონსულტანტი.

ხელისუფლების კანდიდატის საარჩევნო პროგრამის ძირითადი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფაა. როგორც პროგრამაში ვკითხულობთ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2018-2021 წწ. პროექტების დასაფინანსებლად 30 მლნ ლარს გამოყოფს. 2021 წლამდე საგზაო, წყალმომარაგებისა და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის შექმნა-რეაბილიტაციაზე 1 მლრდ ლარი დაიხარჯება, ადგილობრივი გზების მშენებლობაზე კი - 7 მლნ ლარი. ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის საპროექტო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია, ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზაა. პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მუნიციპალიტეტში კიდევ უფრო გაფართოვდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა, გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, სკოლაშდელი დაწესებულებების ახალი შენობები აშენდება იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ამის საჭიროებაა, გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს დაფინანსება და ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას.

ნიკოლოზ თოფოსკი განმარტავს, რომ მისი მერად არჩევის შემთხვევაში, გუნდთან ერთად, რომელიც გვერდით უდგას, მუშაობის ტემპს იმ კურსით განაგრძობს, რომელიც ადებული აქვს. თოფოსკი ამბობს, რომ პრიორიტეტები მოსახლეობასთან ერთად შეირჩევა. 2-3

წელიწადში ხარაგაულის ყველა სოფელში იქნება კაპიტალურად მოწესრიგებული გზა, ასევე დაიწყება შიდა საუნბო გზების რეაბილიტაცია, საჭიროების ადგილებზე მოეწყობა გაბიონები და საყრდენი კედლები.

„ქართული ოცნება“ არის ის პარტია, რომელმაც ქვეყანაში სამართლიანობა აღადგინა და მოსახლეობას ღირსეული ცხოვრება დაუბრუნა. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და გავაგრძელებთ მშენებლობას. გვირდებით, ყველა ერთად ხარაგაულს მომავლის ქალაქად ვაქცევთ. წლებია, ახალგაზრდები გადიან რაიონიდან და უკან დაბრუნების სურვილი აღარ უჩნდებათ, რადგანაც აქ ვერ პოულობენ საკუთარ ადგილს, ვერ ახერხებენ თავიანთი ცოდნის რეალიზებას. ჩემი გამგებლად არჩევის პირველივე დღიდან მიზნად დავისახე, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დამესაქმებინა და მათთვის გზა გამეხსნა. მომავალშიც ვაპირებ, გონიერი ადამიანები დავიყენო გვერდით. სხვა კანდიდატებთან შედარებით, მაქვს უპირატესობა იმ მხრივ, რომ ვიქნები სახელმწიფო პროგრამის გამტარებელი, რის განხორციელებასაც ხელისუფლება მომდევნო წლების განმავლობაში გეგმავს. მირჩევნია, ცოტა დაპირება გავცე და ბევრი გავაკეთო, ამიტომ უფრო მეტად არ დავკონკრეტდები. ყველანაირად შევეცდები, ხარაგაულში ცხოვრება უფრო მიმზიდველი და სასურველი გახდეს. თითქმის ერთი წელია, რაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ვარ და, ვფიქრობ, ამ დროის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი და კარგი საქმე გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, მოსახლეობა ნდობას კიდევ გამომიცხადებს. პირობას ვაძლევა ამომრჩევლებს, ვიქნები მათი ერთგული და ტყუილს არასოდეს ვიტყვი. თავს არ დავიზოგავ ჩემი ქვეყნისა და ხარაგაულისათვის.“ - აცხადებს თოფოსკი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კან-



დიდატი **თორნიკე ავალიშვილი** 1978 წლის 19 მაისს ხარაგაულში დაიბადა. დაამთავრა N2 საჯარო სკოლა და 1995 წელს სამედიცინო უნივერსიტეტი ჩააბარა. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა ზურაბ ცხაკაიას სახელობის კლინიკაში დაიწყო; 2004 წელს გახლდათ ხარაგაულის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომელი; 2005 წელს კი შპს ხარაგაულის სამედიცინო დახმარების სამსახურის დირექტორის პოსტი ეკავა. 2006- 2012 წწ. იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი. 2014 წლიდან დღემდე არის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

„ყოველთვის ჩემი რაიონის სამსახურში ვიყავი და ხალხი არასდროს მიმიტოვებია. 2003 წლიდან არ დამიშურებია ენერჯია, მეტროპოლი ხარაგაულელთა უკეთესი მომავლისათვის და ბევრი პრობლემატური საკითხიც მოგვგვარე. 2012 წელს გადავედი ოპოზიციაში და დღემდე მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ვიბრძვი.“ - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში თორნიკე ავალიშვილი და იმ პრიორიტეტებს გვაცნობს, რომლის გაკეთებასაც მერად არჩევის შემთხვევაში გეგმავს. „დაბის მოსახლეობას სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება; შიდა საუნბო გზების რეაბილიტაცია; გარე განათების მოწყობა; სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარებისათვის მალალი გამავლობის მანქანის შექმნა; დაბაში მდებარე პარკის რეაბილიტაცია; ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო სკვერების მოწყობა; სოციალურად

დაუცველი მოსახლეობისათვის სამედიცინო გამოკვლევების დაფინანსება; მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება; სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების მოგვარება; სკოლაშდელი გაერთიანების ყველა თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ზრდა ეტაპობრივად; საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს.“

ავალიშვილი აქვე დასძენს, რომ მისი გამგებლობის პერიოდში მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მისივე თქმით, თუკი ის ხარაგაულის მერი გახდებოდა, მაქსიმუმს გააკეთებს, მოსახლეობის ეკონომიური შემოსავალი გაუმჯობესდეს და მათ ღირსეულად ცხოვრება შეძლონ.

„იმ პროექტებს, რომლებსაც ჩვენი გუნდის წევრები 2003 წლიდან 2012 წლამდე რუდუნებით ვაკეთებდით და ავად გერჩა დაუსრულელებელი, აუცილებლად დავასრულებთ. ვიძლევი გარანტიას იმისა, რომ ყველა პროექტი ხარისხიანად გაკეთდება და მისი ჩაბარება სამხარაულის ექსპერტის დასკვნის საფუძველზე მოხდება. პრემიები გაცივმა დამსახურების მიხედვით და ყველა დამსახურის თანამშრომელს ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობა. ასევე შემცირდება ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ხარჯი.“ - აღნიშნავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატი.



„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი **ბაბატა კიკნაში** 1969 წლის 2 თებერვალს სოფელ დეისში დაიბადა. 1986 წელს დაამთავრა თბილისის მე-14 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე. 2006 წელს დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ასპირანტურა. 1997 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, მხატვრობითი გეომეტრიის კათედრაზე უფროს პედაგოგად. ამასთან ერთად ეწევა საპროექტო სამშენებლო სამუშაოებს. 2000-2005 წწ. მუშაობდა არქიტექტორად საქართველო-ისრაელის ერთობლივ სამშენებლო კომპანია SAG-ში. 2012 წლიდან გახლავთ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების კათედრაზე.

ბაბატა კიკნაში მიიჩნევს, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ არის ეროვნული, ხალხზე ორიენტირებული პარტია და სწორედ ამიტომ მოსახლეობამ არჩევანი მასზე უნდა გააკეთოს. „ჩვენი ძირითადი პრინციპი გადატანილია გაჭირვებულებსა და უპოვრებზე. შეიძლება არ იყო პოლიტიკოსი, მაგრამ შენი საქმის პროფესიონალი იყო. გარკვეული გამოცდილებები მაქვს მშენებლობის, პედაგოგიისა და ინფრასტრუქტურის დარგში და მინდა, ყოველივე ეს ხარაგაულის კეთილდღეობას მოვახმარო. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში, გადაიხედება კადრების საკითხი და არჩევანი უპირობოდ იქნება პიროვნებებზე გაკეთდება, ვინც კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იჩენს საქმის მიმართ. მოგვარდება სოციალური საკითხები და მოხდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ვგეგმავთ მცირე საწარმოების შექმნასა და ახალგაზრდობის დასაქმებას. ასევე დიდი ყურადღება დაეთმობა ეკოლოგიასა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაციას.“ - განმარტავს ბატონი ბაბატა.

